დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის

შესახებ

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

21. 12. 2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 3

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 4

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 11

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 23

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 31

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 36

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 46

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბონდო კუპატაძე (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ჭუმბურიძე (სსიპ-ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვაჟა მამაიაშვილი (ეროვნული მუზეუმი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქოთოლაშვილი (სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ისტორია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	History

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ისტორიის ბაკალავრი 0222.1.1 Bachelor of History
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ისტორია და არქეოლოგია 0222
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (#777, 11.12.2012)
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ [4] შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 11 იანვარს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #777 გადაწყვეტილებით.

პროგრამამ აკრედიტაციის შემდეგ გაიარა რამდენიმე მოდიფიკაცია, რომელთა მიზეზი გახლდათ საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე განახლებული აკრედიტაციის სტანდარტები, კრედიტების გაანგარიშების წესი, ასევე, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები, შრომისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებები, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ინტერესები და სხვა. ამ ცვლილებებთან მიმართებით უნივერსიტეტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენდა ანგარიშს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.

პროგრამის მოდიფიცირება ძირითადად განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა სწავლის სფეროების განახლებული კლასიფიკატორის შესაბამისად;
2. ცვლილება შეეხო პროგრამის განმახორციელებელ კადრს, კერძოდ:
   - ➢ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კონკურსის შედეგად არჩეული ახალი აკადემიური პერსონალი: ჩომახიძე მაია, თადუმაძე მაია;
   - ➢ პროგრამის განხორციელებაში აღარ მონაწილეობენ: პაპაშვილი მურმანი, სურმავა მამია, სართანია დავითი. მათსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება შეწყდა პირადი განცხადებების საფუძველზე;
   - ➢ პროგრამის განხორციელებაში ჩაერთნენ კონკურსის შედეგად არჩეული მოწვეული სპეციალისტები: პაპასქირი თეიმურაზ, მურღულია ნიკოლოზ, გოგენია ზაალ, ბუბულაშვილი ელდარ, გომართელი ნინო, კალანდია გიორგი, ცხვარიაშვილი ქეთევან, ჩიქობავა აკაკი, დათუნაშვილი ნინო, სანიკიძე ნინო, სოლომონია ლიანა, გოქსაძე ლია, თედორაია ნინო, ბელიაშვილი თინათინ, ჯანიაშვილი ლავრენტი, თევზაძე დავით, პატარკაციშვილი მაყვალა, ივანიძე ნინო;
3. სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა „ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სწავლის სფეროების განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად. სწავლის შედეგები აღწერილია სამი მიმართულებით: „ცოდნა-გაცნობიერება“, ‘უნარები“ და „პასუხისმგებლობა - ავტონომიურობა“;
4. განხორციელდა პროგრამაში სწავლა-სწავლების ისეთი მეთოდებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება, რომლებიც ხელს უწყობენ პრაქტიკული უნარჩვევების ჩამოყალიბებას: კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებასა და

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავებას. ავტონომიური მუშაობის უნარ-ჩვევების გაფართოვებას; საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ნებიემიერი ტიპის მასალის (სამუზეუმო ექსპონატებისა და სარქივო დოკუმენტების, სხვადასხვა წყაროების) მოძიებას რაც ზრდის ხარისხიანი სწავლების მხარდაჭერის შესაძლებლობებს; მაგ., ჯგუფური მუშაობა, ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, სასწავლო პრაქტიკა - სასწავლო ექსპედიციები, ვიზიტები ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში და სხვა;

5. პანდემიის ვითარებიდან, ასევე კანონით დაშვებული შესაძლებლობიდან გამომდინარე პროგრამას დაემატა სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა დისტანციური, ელექტრონული სწავლება და ელექტრონული რესურსებით სწავლება;
6. დაიხვეწა შეფასების სისტემა, კერძოდ, გამრავალფეროვნდა შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტდა შეფასების კრიტერიუმები. პროგრამის სასწავლო კურსები შეივსო შეფასების ისეთი მეთოდებითა და კრიტერიუმებით, რომლებიც ემსახურება პროგრამის ფარგლებში დაგროვილი ფართო თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებას, ისტორიული სამეცნიერო ტერმინოლოგიის სრულყოფასა და მოხმარებას;
7. გარკვეული ცვლილებები განიცადა პროგრამის სტრუქტურამ:

   - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო საგნების ნუსხას ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებიდან დაემატა: არქივმცოდნეობამუზეუმმცოდნეობა (3 კრ.), საქართველოს არქეოლოგია (3 კრ.), და ქართული ეთნოკულტურა (3კრ);

   - პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული დარგობრივ-პროფესიული და ტრანსფერული უნარ ჩვევების გაღრმავების მიზნით ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო საგნების ნუსხას დაემატა სასწავლო პრაქტიკა (9 კრ)

   - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსებს დაემატა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შემდეგი კურსები: საქართველო ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში (3 კრ.), საქართველო ძველი დროიდან XI საუკუნემდე (6 კრ.), საქართველოს ისტორია XIII-XVIII საუკუნეებში (6 კრ.), საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორია (1801-1918) - (6 კრ.), საფრანგეთის ისტორია (3 კრ.), ინგლისის ისტორია (3 კრ.), გერმანიის ისტორია (3კრ.), ესპანეთის ისტორია (3 კრ.), ქართული ნუმიზმატიკა (3 კრ.), საქართველოს უახლესი ისტორია (6 კრ.), საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქების არქეოლოგია და ურბანისტიკა (3 კრ.), საქართველოს სოციალურეკონომიკური ისტორია (3კრ.);

   - საბაკალავრო კვლევითი კომპონენტის უკეთესად გააზრების მიზნით პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი და ჯგუფური პროექტი. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი.

- პროგრამაში სავალდებულო სტატუსით გათვალისწინებულია ინგლისური ენა.
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო საგნების ნუსხას დაემატა - ზოგადი ფსიქოლოგია (3 კრ);
- თავისუფალი კომპონენტის არჩევით საგნებს დაემატა: პედაგოგიკა, კომპიუტერული უნარები 2, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო (3 კრ), ქართული და ევროპული მოდის ტენდენციები (3 კრ.), ქართული კულტურის ისტორია
- სტუდენტთა მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში სტუდენტს საშუალება ეძლევა არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული მითითებების გათვალისწინებით დააგროვოს 9 თავისუფალი კრედიტი სხვადასხვა მიმართულებით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ზუმის პლატფორმაზე შეკრებისას განიხილეს თვითშეფასების ანალიზი და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ა/წ 22 ნოემბრის ბრძანების (MES 6 22 0001488664) თანახმად ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩამოყალიბდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 30 ნოემბერს.

განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის დღეს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

30 ნოემბერს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და მოქმედ ბაკალავრებთან, სკოლის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები,კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

● საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე

მიმოხილვა პირველი სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან მეორე სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მესამე სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეოთხე სტანდარტი -

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეხუთე სტანდარტი - შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმის რუკა და გასწორდეს მასში არსებული შინაარსობრივი შეუსაბამობები;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში გასწორდეს სავალდებულო ლიტერატურასთან დაკავშირებული ხარვეზები, სახელდობრ:
3. გადამოწმდეს ბიბლიოთეკაში შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის არსებობის საკითხი;
4. შემცირდეს ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის რაოდენობის ჩამონათვალი;
5. მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურაში სილაბუსის შინაარსში შეტანილი საკითხავი მასალა;
6. რეკომენდებულია, გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის წილი დაყვანილი იქნას მინიმუმამდე ან გაუქმდეს;
7. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებულ კურიკულუმის რუკაში და მისგან გამომდინარე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან ისევე, როგორც შედეგებზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერების მიზნით უნივერსიტეტმა და პროგრამის აკადემიურმა გუნდმა გააქტიუროს მუშაობა;

2. სასურველია, დამხმარე ისტორიული დისციპლინებით არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება;
3. სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებში გადაიხედოს კრედიტების განაწილება და დაზუსტდეს სასწავლო მასალის სირთულის, რაოდენობის და სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
4. სასურველია, საკითხავი მასალის (რიდერების) შემუშავების და დამტკიცების პროცესში ჩაერთოს უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოება, რათა უზრუნველყოფილი იქნას საკითხავი მასალის გამართულობა და რელევანტურობა;
5. სასურველია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებებში გასწორდეს დაშვებული ტექნიკური ხარვეზები;
6. სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითოს ჩარიცხვის პირობები საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის როგორც ადგილობრივი, ასევე უცხო ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებიდან მობილობის და გადმოყვანის წესით;
7. სასურველია, პრაქტიკის სილაბუსი წარმოდგენილი იყოს ცალკეული კომპონენტის (სამუზეუმო, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სასწავლო) მიხედვით;
8. სასურველია, პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალიდან დაწესებულებამ ამოიღოს დისტანციური სწავლების მეთოდი;
9. სასურველია, სტუდენტური პროექტებისთვის საგრანტო კონკურსის მექანიზმის დანერგვა, რათა სტუდენტებმა თავად დაგეგმონ და განახორციელონ მცირე პროექტები;
10. სასურველია, ისტორიის პროგრამის სტუდენტების წახალისება/ხელშეწყობა გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობისთვის, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე;
11. სასურველია, ისტორიის პროგრამის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წახალისება და პოპულარიზაცია;
12. სასურველია, შეფასების გასაჩივრების მექანიზმის შემთხვევაში, კომისიის შემადგენლობიდან შემფასებელი ლექტორის ამოღება;
13. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად აქტიურად ჩაერთონ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დაგეგმვის პროცესში;
14. სასურველია, ჩატარდეს დარგობრივ საკითხებზე, დარგობრივ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებული შრომის ბაზრის კვლევა, რაც პროგრამის გუნდს დაეხმარება დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების იდენტიფიცირებასა და დამსაქმებლების საჭიროებების დადგენაში;

15. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდეს პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების პროცესის თითოეული ეტაპის დაგეგმვის, განხორციელებისა და მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

დაწესებულებამ თავის არგუმენტირებულ პასუხში სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები. გამოხატა მზადყოფნა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს–ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ 2012 წელს გაიარა აკრედიტაცია და დაიწყო მისი განხორციელება. სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შეცვლის შემდეგ, მათთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელდა გარკველი ცვლილებები: ისტორიის სფეროს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად შეიცვალა კვალიფიკაციის კოდი და 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანების თანახმად პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრა დეტალური სფეროს „0222 ისტორია და არქეოლოგია“ მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე დაკონკრეტდა პროგრამის მიზნები, რომლებიც ნათლად არის ჩამოყალიბებული. მათში ასახულია, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. კერძოდ, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს: მისცეს ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში, შეასწავლოს ძირითადი ცნებები და ტერმინები, კრიტიკულად გააანალიზებინოს ისტორიული პროცესები, გააცნობიერებინოს ისტორიის დამხმარე დისციპლინების მნიშვნელობა ისტორიული პროცესების რეკონსტრუქციისათვის, დააუფლოს ინგლისური ენას, ჩამოუყალიბოს სხვადასხვა სახის ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირების უნარი, განუვითაროს კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების კომპეტენცია; შესძინოს საბაკალავრო ნაშრომზე ან ჯგუფურ პროექტზე

მუშაობის ჩვევები, გამოუმუშავოს პასუხისმგებლობის და ტოლერანტული დამოკიდებულების უნარი განსხვავებული აზრისა და კულტურის მიმართ.

პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0222 ისტორია და არქეოლოგია“. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, დასაქმდეს: განათლების სფეროში - სახელმწიფო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კანონმდებლობის მიხედვით გათვალიწინებული დამატებითი მოთხოვნების შერულების შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და ცენტრებში, არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ ექსპედიციებში, სხვადასხვა ტიპის მუზეუმებში, ისტორიულ და სხვა დანიშნულების არქივებში, ბიბლიოთეკებში, სახელმწიფო და კერძო გამომცემლობებში, რედაქციებში, ტურიზმის სფეროში, საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორებში, მასმედია და ა.შ.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა გარკვეულწილად ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერების საჭიროება. მართალია უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო კავშირები, შესაბამისი მემორანდუმები, თუმცაღა უშუალოდ ისტორიის დარგის მიმართულებით გაცვლითი პროგრამებისა და კვლევითი პროექტების ნაკლებობაა. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მრავლადაა წარმოდგენილი მსოფლიო ისტორიის სასწალო კურსები და თავად ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიზნების, ხედვისა და მისიის გათვალისიწნებით სასვებით შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა; ○ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისია; ○ ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ პარტნიორ ინსტიტუციებთან გაფორმებული მემორანდუმები; ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერების მიზნით უნივერსიტეტმა და პროგრამის აკადემიურმა გუნდმა გააქტიუროს მუშაობა.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. სწავლის შედეგები მიღწევადიაა და ისინი შეესაბამება პროგრამის მიზანს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს (0222 ისტორია და არქეოლოგია“) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას „ისტორიის ბაკალავრი“. პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს, რომ ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებული:

1. ფლობს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ცოდნას. ხსნის უძველესი დროიდან დღემდე მსოფლიოსა და საქართველოს ისტორის პერიოდიზაციის ძირითად ეტაპებსა და პრინციპებს. ისტორიული მოვლენების უახლესი გამოკვლევებისა და მიღწევების ფართო ცოდნაზე დაყრდნობით აცნობიერებს

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტიკური ისტორიის სპეციფიკას და მნიშვნელობას ზოგადსაკაცობრიო კულტურაში. აღწერს შუა საუკუნეების ევროპის სახელმწიფოების განვითარების პროცესს. ევროპის და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს. განსაზღვრავს ცალკეული ისტორიული პერიოდისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს.

2. ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნების, ხალხებისა და კულტურების ისტორიას. წერილობითი და მატერიალურ წყაროების საფუძველზე საქართველოს ისტორიას განიხილავს მსოფლიო ისტორიულპოლიტიკური, სოციალ- ეკონომიკური და კულტურული პროცესების კონტექსტსტში.
3. ისტორიული პროცესის რეკონსტრუქციისას აცნობიერებს ისტორიის მომიჯნავე და დამხმარე დისციპლინების მნიშვნელობას და მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას.
4. მოიძიებს და აანალიზებს პირველად და მეორეულ ისტორიული წყაროებს. ახდენს მათ კლასიფიკაციას მოძიებული ინფორმაციისა და ფაქტების ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახდენს წარსულის აღდგენას. არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ აზრს და წყაროებზე დაყრდნობით სათანადოდ პასუხობს კითხვებს.
5. ფლობს ინგლისურ ენას B1 + დონეზე. ამუშავებს ინგლისურენოვან ისტორიულ ლიტერატურას და ამზადებს პრეზენტაციას აღნიშნულ დონეზე.
6. აკავშირებს პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებიდან მიღებულ ცოდნას. მსჯელობს ისტორიოგრაფიული პრობლემების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით,- შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით. მონაწილეობს დისკუსია-დებატებში. ყურადღებით ისმენს და აანალიზებს სხვათა შეხედულებებს და იყენებს ცნებებსა და ტერმინებს, რომლებითაც ოპერირებს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ აზრს და დასაბუთებულად პასუხობს კითხვებს.
7. ქმნის საბაკალავრო ნაშრომს ან მონაწილეობს ჯგუფურ პროექტში, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. ამჟღავნებს სხვისი აზრის პატივისცემას და იცავს ეთიკურ ნორმებს.
8. ახდენს თავისი პროფესიული ცოდნის პერმანენტულ განახლებას, არსებული უნარ-ჩვევების დახვეწასა და ახალი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაგანვითარებას. თავად გეგმავს პროფესიული განვითარების საჭიროებას.სწავლასა და საქმიანობას ახორციელებს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით.
9. პატივს სცემს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობას, სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების განსხვავებულ ღირებულებებსა და შეხედულებებს. მოქმედებს თავისუფლების, სამართლიანობის, დემოკრატიული ფასეულობების და ტოლერანტობის პრინციპების გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია ცალკეული კურსების სწავლის შედეგების მიხედვით, რომლებიც გამომდინარეობს სასწავლო კურსების მიზნებიდან და შინაარსიდან. ისინი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის შედეგები არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი. პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ ისტორიის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურები; ○ პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები. რეკომენდაციები:

- ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდოლოგია. პირდაპირი შეფასების მეთოდებია - წერითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, თეზისი, პრეზენტაცია და სხვა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია - დამსაქმებლების/კურსდამთავრებულების/სტუდენტების გამოკითხვა, შედარება მსგავს ინსტიტუციებთან, კურიკულუმის ანალიზი და სხვა.

ყოველი სემესტრის ბოლოს ჩატარებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზით ხორციელდება სტუდენტთა მხრიდან პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის დადგენა. აკდემიური მოსწრების ანალიზით დგინდება რამდენად სწორად არის მინიჭებული სასწავლო კომპონენტისთვის კრედიტი, შერჩეულია თემატიკა, ლიტერატურა, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და ა. შ.

სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია აკადემიური მიღწევის ნორმალური მაჩვენებელი, ამიტომ სწავლის შედეგის მიღწევის აღნიშნული დიაპაზონიდან 20%იანი გადახრის შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე გადაიხედება საგანამანათლებლო პროგრამის/სილაბუსის სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად: სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტის მოცულობა; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება; სწავლა/სწავლების მეთოდები; სასწავლო კომპონენტის თემატიკა; სავალდებულო ლიტერატურის სირთულე და მოცულობა; შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის რუკაში, სადაც მოცემულია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსი შესაბამისი დონის მითითებით (I(NTRODUCTION) - გაცნობა, E(XPANSION) - გაფართოება - გაღრმავება, R(EINFORCEMENT) - განმტკიცება) საჭიროებს გადახედვას, რადგან გარკვეულწილად ბუნდოვანია ლოგიკური კავშირების სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის. განსაკუთრებით კი, ვფიქრობთ დასაზუსტებელია მე-6 სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსები (დონეებით). მაგ., მე-6 სწავლის შედეგზე, გაფართოების დონეზე გადის ზოგადი ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის შესავლის კურსები. აგრეთვე, თითქმის ყველა სწავლის შედეგზე (გამონაკლისია მე-5 და მე-7 სწავლის შედეგები) განმამტკიცებელ დონეზე გადის „არქივმცოდნეობა-მუზეუმმცოდნეობა“, რაც ნაკლებად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების უმრავლესობის შინაარსს.

ასევე, მე-7 სწავლის შედეგზე („ქმნის საბაკალავრო ნაშრომს ან მონაწილეობს ჯგუფურ პროექტში, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. ამჟღავნებს სხვისი აზრის პატივისცემას და იცავს ეთიკურ ნორმებს.“) შესავალ დონეზე, ვფიქრობთ, სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელია „ისტორიის მეცნიერების შესავალი“ კურსით, ხოლო განმამტკიცებელ დონეზე საბაკალავრო ნაშრომთან ერთად უნდა მოიაზრებოდეს ჯგუფური პროექტიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გამართულობის მიზნით, რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმის რუკა და გასწორდეს მასში არსებული შინაარსობრივი შეუსაბამობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზი; ○ ინტერვიუს შედეგები. რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმის რუკა და გასწორდეს მასში არსებული შინაარსობრივი შეუსაბამობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. უნივერსიტეტში ეს პროცესები არის ღია, გამჭვირვალე და ურთიერთ თანამშრომლობითი, რომელშიც მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი); პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მიღების წესი და სწავლის შედეგები. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია, თანმიმდევრული და შემუშავებულია მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად (ECTS). საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს ფართო არჩევანის შესაძლებლობას დაგეგმოს საკუთარი საგანმანათლებლო პროფილი. კვალიფიკაციის მისაღებად, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რომელიც შეადგენს საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების და პრაქტიკული კომპონენტის კრედიტების ჯამს, აგრეთვე მასში შედის თავისუფალი კომპონენტიც.

პროგრამის სასწავლო გეგმა წარმოდგენილია 1.2 დანართის სახით, რომელშიც მოცემულია სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების სასწავლო კურსების ჩამონათვალი, მათი განხორციელების სემესტრები და კრედიტები. პროგრამის სტრუქტურა ფორმირებულია შემდეგი სახით:

1. ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -87 კრედიტი;
2. სავალდებულო ინგლიური ენა 36 კრედიტი
3. ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 75 კრედიტი;
4. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 12 კრედიტი;
5. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი;
6. სავალდებულო საბაკალავრო კვლევითი კომპონენტი: საბაკალავრო ნაშრომი - 9 კრედიტი ან ჯგუფური პროექტი - 6 კრედიტი;
7. სავალდებულო პრაქტიკულ კომპონენტი - 9 კრედიტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ სტრუქტურა შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ისტორიის ბაკალავრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

აღსანიშნავია, რომ სტრუქტურაში არჩევით კომპონენტში წარმოდგენილია რამდენიმე მომიჯნავე დარგის სასწავლო კურსი, თუმცაღა პროგრამის გამრავალფეროვნების მიზნით, ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასურველია, დამხმარე ისტორიული დისციპლინებით არჩევითი სასწავლო კურსების გამდიდრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსები; ○ თვიშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები. რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია, დამხმარე ისტორიული დისციპლინებით არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსისთვის გამოყოფილი კრედიტის რაოდენობა ძირითადად შეესაბამება კურსის შინაარსს, მოცულობას, სირთულეს და სწავლის შედეგებს. სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში დაწვრილებით არის გაწერილი სწავლებასწავლის მეთოდოები, მათი შესაბამისი აქტივობები და სტუდენტთა შეფასების სისტემა. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ეფუძნება თანამედროვე ლიტერატურას.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგში არსებულ მიღწევებზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მოცემულია როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვანო ლიტერატურა (ძირითადად დამატებითი სასწავლო მასალის სახით). მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზოგიერთ სასწავლო კურსში, მაგ., "გვიანი შუა საუკუნეების ისტორია" სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ვიკიპედიის ბმული. ასევე, გარკვეული ტიპის პრობლემები გამოვლინდა ე.წ. რიდერებთან დაკავშირებით. კერძოდ, კი სასწავლო კურსში "არქივმცოდნეობა-მუზეუმმცოდნეობა" მითითებული ლიტერატურის გარკვეული ნაწილი, მათ შორის, ლექტორის მიერ მომზადებული საკითხავი მასალა არ ფიქსირდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. რიდერები არ არის მითითებული სავალდებულო/არჩევითი ლიტერატურის ჩამონათვალში სასწავლო კურსში "არქეოლოგიის საფუძვლები". ზემოაღნიშნულ სილაბუსებში მითითებულია რიდერები, რომელიც პროფესორის მიერ არის შედგენილი, თუმცაღა არ არის დამტკიცებული ფაკულტეტის საბჭოზე ან შეთანხმებული უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალთან. ამასთან, სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი ზოგიერთ სასწავლო კურსში ჭარბადაა წარმოდგენილი (მაგ., "გვიანი შუა საუკუნეების ისტორია", "ადრეული შუა საუკუნეები"). რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში გასწორდეს სავალდებულო ლიტერატურასთან დაკავშირებული ხარვეზები, სახელდობრ:

- გადამოწმდეს ბიბლიოთეკაში შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის არსებობის საკითხი;
- შემცირდეს ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის რაოდენობის ჩამონათვალი;
- მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურაში სილაბუსის შინაარსში შეტანილი საკითხავი მასალა.

ასევე, სასურველია, საკითხავი მასალის (რიდერების) შემუშავების და დამტკიცების პროცესში ჩაერთოს უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოება, რათა უზრუნველყოფილი იქნას საკითხავი მასალის გამართულობა და რელევანტურობა.

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება საკუთრივ ამ კურსის სწავლის შედეგებს.სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით. თუმცა ზოგიერთ სილაბუსში სწავლის შედეგების დაწერისას დაშვებულია უმნიშვნელო ტექნიკური ხარვეზები, რომელიც სასურველია გასწორდეს.

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, სააათების განაწილება (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), ლექტორი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ძირითადი თემები, შეფასების წესი, ლიტერატურა და სხვა რესურსები, თემატიკა კვირეების მიხედვით.
საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემული სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები შეესაბამება სწავლის შედეგებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორ სასწავლო კურსში (“გვიანი შუა საუკუნეების ისტორია”, “ადრეული შუა საუკუნეები”), რომელთა კრედიტული მოცულობა განისაზღვრება 6 კრედიტით, მოცემულია დიდი რაოდენობით საკითხავი მასალა, რაც არ შეესაბამება სასწავლო კურსის მოცულობას. სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებში გადაიხედოს კრედიტების განაწილება და დაზუსტდეს სასწავლო მასალის სირთულის, რაოდენობის და სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საბიბლიოთეკო ბაზა; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში გასწორდეს სავალდებულო ლიტერატურასთან დაკავშირებული ხარვეზები, სახელდობრ:

- გადამოწმდეს ბიბლიოთეკაში შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის არსებობის საკითხი;
- შემცირდეს ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის რაოდენობის ჩამონათვალი;
- მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურაში სილაბუსის შინაარსში შეტანილი საკითხავი მასალა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებში გადაიხედოს კრედიტების განაწილება და დაზუსტდეს სასწავლო მასალის სირთულის, რაოდენობის და სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
- სასურველია, საკითხავი მასალის (რიდერების) შემუშავების და დამტკიცების პროცესში ჩაერთოს უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოება, რათა უზრუნველყოფილი იქნას საკითხავი მასალის გამართულობა და რელევანტურობა;
- სასურველია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებებში გასწორდეს დაშვებული ტექნიკური ხარვეზები.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ წინაპირობებს და პროცედურებს. საქართველოს კანონმდებლობის და პროგრამის შესაბამისად: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა

შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითებული იყოს, რომ პროგრამზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საქართველოს კანონმდებლობა უმაღლესი განათლების სივრცისთვის; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითოს ჩარიცხვის პირობები საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის როგორც ადგილობრივი, ასევე უცხო ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებიდან მობილობის და გადმოყვანის წესით.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, გარდა ბაკალავრის აღჭურვისა ისტორიის სფეროს საბაზისო და ფართო ცოდნით, ითვალისწინებს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. პრაქტიკული კომპონენტის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტის პროფესიაში შესვლას და მისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. პრაქტიკული კომპონენტი შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბაზაზე, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ან/და ხელშეკრულება; ასევე სკოლის ფარგლებში მოქმედ ჰუმანიტარული სახელოსნოში. პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს შესავალს კვლევით კომპონენტში საბაკალავრო ნაშრომის (9 კრედიტი)/ჯგუფური პროექტის (6 კრედიტი) სახით. ორივე ტიპის ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საბაკალავრო ნაშრომისა და ჯგუფური პროექტის სილაბუსებში აღწერილი მოთხოვნების შესაბამისად.

ასევე აღსანიშნავია შემდეგი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა ყოველწლიურად მართავს სამეცნიერო კონფერენციას, და გამოსცემს კრებულს – „სტუდენტური ალმანახი“, რომელშიც იბეჭდება სტუდენტთა (მათ შორის ისტორიის მიმართულების) ნაშრომები. პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, ისტორიის პროგრამის სტუდენტები მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროექტებში კურიკულუმს გარეთ, მაგ., არქეოლოგიურ გათხრებში.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებისათვის პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი. თუმცა პრაქტიკის სილაბუსი საკმაოდ ზოგადია და მასში ასევე ზოგადადაა ასახული პრაქტიკის ცალკეულ კომპონენტში (სამუზეუმო, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და სასწავლო პრაქტიკის) შედეგები. სასურველია, რომ პრაქტიკის სილაბუსი წარმოდგენილი იყოს ცალკეული კომპონენტის (სამუზეუმო, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სასწავლო) მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ კრებული „სტუდენტური ალმანახი“; ○ Youtube –ზე ატვირთული ვიდეოები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, პრაქტიკის სილაბუსი წარმოდგენილი იყოს ცალკეული კომპონენტის (სამუზეუმო, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სასწავლო) მიხედვით.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება კურსის სპეციფიკას, შინაარსს, სწავლის შედეგებს. ამგვარად ჩამოყალიბებული სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევის მთავარი მიზანია მაქსიმალურად ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობაში. პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით: წიგნზე მუშაობა და დემონსტრირება; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; წერითი მუშაობა; გონებრივი იერიში; ელექტრონული რესურსით სწავლება; ანალიზი და სინთეზი; დედუქცია,ინდუქცია; გუნდური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); პროექტის შემუშავება, მისი წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენა; სასწავლო პრაქტიკა; დისკუსია/დებატები; ექსკურსიები ისტორიულ ძეგლებზე (გასვლითი ლექციები); ვიზიტები არქივებში, მუზეუმებში და ბიბლიოთეკებში; დამოუკიდებელი სამუშაო (ესეს, რეფერატის, მოხსენება, საბაკალავრო ნაშრომი პრეზენტაცია); გუნდური (collaborative) სამუშაო; თანამშრომლობითი (cooperative) საქმიანობა და სხვა;
ყველა ეს მეთოდი და აქტივობა განსაზღვრულია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით და მოცემულია შესაბამის სილაბუსებში. აღნიშნული მეთოდები და აქტივობები სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს და სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის აღწერილობით დოკუმენტში მითითებულია დისტანციური სწავლების მეთოდი. ვინაიდან პანდემიის დასრულების შემდგომ დისტანციური სწავლება საყოველთაოდ ამოღებულია სწავლების მეთოდებიდან, სასურველი იქნება თუ პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალიდან დაწესებულება ამოიღებს დისტანციური სწავლების მეთოდს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები. რეკომენდაციები:

○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ სასურველია, პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალიდან დაწესებულებამ ამოიღოს დისტანციური სწავლების მეთოდი.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლებასწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის და შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად. სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს; შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ტესტი, ქვიზი, სემინარი/პრეზენტაცია, პრაქტიკული/ საშინაო დავალება/დამოუკიდებელი სამუშაო და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, პრეზენტაცია, და სხვა).

შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების თითოეულ ფორმას შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით; შუალედური შეფასების 60 ქულის განაწილება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინოებებზე აქტივობას, პრეზენტაციებს, საშინაო დავალების განხილვას და სხვა, წარმოებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად გაიწერება სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ; შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში. სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში; სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაში სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი, ობიექტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასების ზოგადი ჩარჩო განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებითაც, ხოლო სასწავლო კურსების შემთხვევაში, თითოეულის სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო მეტად არის დაკონკრეტებული შესაბამის სილაბუსებში.

აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების 100 ქულიანი სისტემა განაწილებულია შემდეგნაირად: შუალედური შეფასების ფარგლებში ხელმძღვანელი აფასებს საბაკალავრო ნაშრომს 45 ქულით, რეცენზენტი - 15 ქულით, ხოლო დასკვნითი შეფასების 40 ქულა იწერება კომისიის მიერ. აღნიშნული შეფასების სისტემა, ვფიქრობთ, გარკვეულწილად საჭიროებს ცვლილებას, კერძოდ კი, თემის ხელმძღვანელის მიერ 45 ქულით სტუდენტის შეფასება სავარაუდოდ წარმოშობს გარკვეულ რისკებს შეფასების ობიექტურობის კუთხით. შესაბამისად, რეკომენდებულად მიგვაჩნია გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილი იქნას მინიმუმამდე ან გაუქმდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურისების სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის წილი დაყვანილი იქნას მინიმუმამდე ან გაუქმდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიურ პროგრესს სხვადასხვა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისების ფარგლებში. კონკრეტულად ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე შესაბამის დარგობრივ საკონსულტაციო მომსახურებაზე პასუხისმგებელია ამავე პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის აკადემიურ პერსონალთან ერთად. სტუდენტთა მცირე კონტიგენტიდან გამომდინარე პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის ჩამოყალიბებულია უშუალო კომუნიკაციის ფორმა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, რომ მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაციები. ამავდროულად, პროგრამის ხელმძღვანელი გარკვეული პერიოდულობით გეგმავს ჯგუფურ კონსულტაციებს. დამატებით, სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების განვითარებაზე და მის მიწოდებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სკოლის ორი აკადემიური მენეჯერი, რომელიც სამუშაო დღეებში იღებს სტუდენტებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და ეხმარება აკადემიური პროცესის სხვადასხვა საკითხებს დაგეგმვასა და განხორციელებაში. ასევე

უნივერსიტეტში მოქმედებს „დეკანის საათი“, რომლის ფარგლებშიც კვირაში ერთხელ დეკანი ხვდება სტუდენტებს და ინფორმაციას აწვდის უნივერსიტეტში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

სტუდენტთა აკადემიური შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმები წინასწარ არის გაწერილი სილაბუსებში, რომელსაც სტუდენტებს ლექტორი სასწავლო სემესტრის დაწყების წინ აცნობს და ასევე, სტუდენტებს არჩევითი საგნების შემთხვევაში საშუალება ეძლევათ თავადაც გაეცნონ. სტუდენტები სილაბუსის მიხედვით ინფორმირებულები არიან კონკრეტულ საგნებში ცოდნის შეფასების პერიოდსა და ფორმებზე. უნივერსიტეტს ცოდნის შეფასების მაღალი გამჭირვალობისა და სამართლიანობისთვის აქვს საგამოცდო ცენტრი, სადაც ბარდება ყველა ძირითადი გამოცდა. ასევე, სტუდენტს ეძლევა შეფასების გასაჩივრების საშუალებაც, რისთვისაც ცალკე კომისია დგება. თუმცა როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა კომისიას ესწრება თავად შემფასებელი ლექტორიც, რაც შეიძლება კომისიის მუშაობაზე უარყოფითად აისახოს.

თვითშეფასების ანგარიშიდან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ უნივერსიტეტიც და პროგრამაც სტუდენტის საუკეთესო ინტერესებზეა ორიენტირებული. ეს სტუდენტებს საშუალებას აძლევს, რომ მჭიდრო კომუნიკაციაში იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან, მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია და ასევე დაუბრუნოს უკუკავშირი. უნივერსიტეტს უკუკავშირისთვის აქვს ანონიმური პერიოდული კითხვარი და ასევე ადმინისტრაცია, სადაც შესაძლებელია სიტყვიერად ან/და განცხადების საფუძველზე შენიშვნის ან სხვა სახის უკუკავშირის დაფიქსირება.

სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სტუდენთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე პასუხისმგელია ისტორიის პროგრამის ხელმძღვანელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლასთან ერთად. ამავდროულად, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის განვითარების კომისიას ჰყავს ერთი სტუდენტი წევრი.

თვითშეფასების ანგარიშიდან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების/კონფერენციების, დასაქმების შესაძლებლობების, ადგილობრივი კონფერენციების, სტიპენდიებისა და საგრანტო კონკურსების შესახებ. ისინი ამ ინფორმაციას იღებენ პროგრამის ხელმძღვანელის, ჰუმანიტარული და ლიბერალური განათლების სკოლისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, ისევე როგორც GAUს პირადი მეილების საშუალებით. ასევე ამ შესაძლებლობების გაცნობა სტუდენტებს შეუძლიათ უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე: https://www.gau.edu.ge/ka. ამის მიუხედავად, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი ერთვებიან მხოლოდ ქართულ-ამერიკული

უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ყოველწლიურ სტუდენტთა და ლექტორთა კონფერენციაში, რომელსაც ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ლიბერალური განათლების სკოლა აორგანიზებს. ნაკლებად გამოიკვეთა პროგრამის სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობის პრაქტიკა. პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უჭირთ ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა. თვითშეფასების ანგარიშის, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას არ იკვეთება სტუდენტური პროექტების საგრანტო დაფინანსების სისტემის არსებობა. შესაბამისად, სტუდენტებს არ აქვთ საშუალება თავად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა პროექტები. თუმცა პოზიტიური ფაქტია, რომ უნივერსიტეტს აქვს ყოველწლიური სტუდენტური ალმანახი, სადაც ქვეყნდება სტუდენთა სტატიები.

რაც შეეხება სტუდენტთა კარიერულ განვითარებას თვითშეფასების ანგარიშიდან იკვეთება, რომ უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებლებთან, რის საფუძველზეც ხელს უწყობს ერთი მხრივ სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის და მეორე მხრივ, კარიერულ განვითარებას. უნივერსიტეტში კარიერისა და პროფესიული განვითარების მიზნით, უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცალკე სამსახური - კარიერის სამსახური. რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობას სისტემური ხასიათი აქვს. კარიერის სამსახური სტუდენტებს ეხმარება CV-ისა და სამოტივაციო წერილის შედგენის ტექნიკების სწავლებაში, ისევე როგორც სხვადასხვა დასაქმების შესაძლებლობების გაცნობაში. ასევე, კარიერის სამსახური ატარებს სტუდენტთა და დამსაქმებელთა პერიოდულ გამოკითხვას. ამის მიუხედავად, ბუნდოვანია გამოკითხვის მეთოდოლოგია და ვალიდურობა და ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიმართულების სტუდენტების მიმართ აღნიშნული სამსახურის მუშაობის ეფექტურობა. გასაუბრებაზე მოწვეულ კურსდამთავრებულთაგან არცერთი არ იყო დასაქმებული და მხოლოდ ერთი აგრძელებდა სწავლას მაგისტრატურაში, სხვა მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გამოცდების ჩატარების წესები; ○ ისტორიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის შინაგანაწესი; ○ სტუდენტის ეთიკის კოდექსი; ○ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კუსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://www.gau.edu.ge/ka).

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტური პროექტებისთვის საგრანტო კონკურსის მექანიზმის დანერგვა, რათა სტუდენტებმა თავად დაგეგმონ და განახორციელონ მცირე პროექტები;
- სასურველია, ისტორიის პროგრამის სტუდენტების წახალისება/ხელშეწყობა გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობისთვის, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე;
- სასურველია, ისტორიის პროგრამის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წახალისება და პოპულარიზაცია;
- სასურველია, შეფასების გასაჩივრების მექანიზმის შემთხვევაში, კომისიის შემადგენლობიდან შემფასებელი ლექტორის ამოღება.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით **რეკომენდაციები:**

○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და

ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური პერსონალი. უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) გამწესება ხორციელდება კონკურსის წესით „უმაღლესი განათლების შესახებ„ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების და „ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულების“ შესაბამისად. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსს ბრძანებით აცხადებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი. ბრძანებით განისაზღვრება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის საკონკურსო ადგილების რაოდენობა სპეციალობების მიხედვით. ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ. კონკურსთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. კონკურსის მიმდინარეობა და შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაში მოწვეული სპეციალისტების შერჩევაც მიმდინარეობს ზემოთ მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 35-ს, მათ შორის, 13 აკადემიური და 22 მოწვეული პერსონალია. პროგრამაში ჩართული 13ვე აკადემიური პერსონალი აფილირებულია გაუ-სთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - 13/22, განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული 35 პირიდან, 16 დარგობრივი მიმართულების პერსონალია (მათ შორის, 4 აკადემიური და 12 მოწვეული), რომელთაც გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ხარისხი დარგობრივი მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელი არის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია მოცემულია პირად საქმეებში, რომლის თანახმადაც პროგრამის ხელმძღვანელს ბოლო 10 წელში უდასტურდება დარგობრივი კვლევები. პროგრამის სტუდენტები სისტემატურ კონსულტაციებს იღებენ პროგრამის ხელმძღვანელისგან პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ხოლო საორგანიზაციო საკითხებში მათ ეხმარებათ სკოლის დეკანი და პროგრამის აკადემიური მენეჯერი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	13	16	16	13
- პროფესორი	2	1	1	2
- ასოცირებული პროფესორი	11	3	3	11
- ასისტენტპროფესორი	0			0
- ასისტენტი	0			0
მოწვეული პერსონალი	22	12	12	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ თვითშეფასების ნაგარიში; ○ პროგრამა და სილაბუსები; ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები და პირადი საქმეები;

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით **რეკომენდაციები:**
- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის შეფასებას, ყველა ძირითადი მოვალეობის მიხედვით, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ სამეცნიერო პროდუქტიულობას. საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასება, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიხედვით ხორციელდება, ხოლო მისი ორგანიზაცია და განვითარება ახალი სასწავლო კურსების შემუშავებისა და დანერგვის, სასწავლო კურსების მოცულობის, შინაარსის, შეფასების სისტემის მიღწეული შედეგების მიხედვით, რომელიც სტუდენტთა გამოკითხვის და მოსწრების მონიტორინგის შედეგებითაც დასტურდება.

უნივერსიტეტებში შემუშავებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა, რის შედეგებსაც აქტიურად იყენებს მათი პროფესიული განვითარებისთვის. ამ შეფასების შედეგების საფუძველზე ხორციელდება პერსონალის დაწინაურება და წახალისება. უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. უნივერსიტეტში სისტემატურად იგეგმება და ტარდება კონფერენციები პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის,

ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები. მაგალითად, 2019 წელს სწავლების თანამედროვე გამოწვევების და აკრედიტაცია-ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესახებ კვალიფიკაციის ამაღლების, ინფორმაციის მიწოდების და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით სკოლაში ჩატარდა შემდეგი სახის ტრენინგები: აკრედიტაციის ახალი სტანდარტები - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ქეთევან ჯინჭარაძე; სწავლების ინოვაციური მეთოდები - მაია გონაშვილი და ა. შ. 2020 წელს ჩატარდა ტრენინგები აკადემიური და მოწვეული სპეციალისტებისათვის სწავლების დისტანციურ რეჟიმში გადასვლასთან დაკავშირებით - სწავლა-სწავლების შესაბამის მეთოდებსა და ონლაინ პლატფორმების გამოყენების სპეციფიკასთან დაკავშირებით. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამების) განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზის შემდეგ, სკოლაში აგრეთვე ჩატარდა სემინარი პროფესორთა სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის მხარდაჭერისა და წამახალისებელ ღონისძიებათა შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; ○ ხელშეკრულებები; ○ სამართლებრივი აქტები; ○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. რეკომენდაციები:

○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული	☒	☐	☐	☐
პერსონალის პროფესიული განვითარება				

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტუდენტისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. უნივერსიტეტი ფლობს ლოკალურ ქსელს და ინტერნეტს (უსადენო ინტერნეტით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია); აქვთ სრულყოფილად აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები; უნივერსიტეტის მატერიალური ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მომსახურებას თანამედროვე დონეზე. სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. ასევე უნივერსიტეტს აქვს Ebsco-ს პაკეტი რომელიც მოიცავს შემდეგ ქვებაზებს, მათი მოხმარება შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან ისე მის გარეთ. უნივერსიტეტში მოქმედებს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის კატალოგიზაციისა და ცირკულაციის მოდულები. წიგნადი ფონდი თითქმის სრულად არის ასახული კატალოგში. შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ამოქმედებულია ბიბლიოთეკის უსაფრთხოების სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში; ○ მატერიალური/ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი; ○ ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები; ○ ინტერვიუს შედეგები. რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც სკოლის, ისე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის მხარდაჭერის პერიოდული და ერთჯერადი წყაროები. სკოლის ბიუჯეტში გამოყოფილია ფინანსური რესურსი კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციისათვის, პერსონალის განვითარებისათვის, სტუდენტთა წახალისებისათვის, მათი ექსტრაკულიკურალური, კულტურული, შემოქმედებითი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის და სხვა აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი მიზნებისათვის უნივერსიტეტის, სკოლის განვითარების დინამიკის შესაბამისად. გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაზე, უნივერსიტეტის პროფესორმასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა/დაბეჭდვაზე და ა. შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- სკოლის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თუმცაღა ხარისხის უზრუნველყოფაში, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და მონიტორინგში მონაწილეობა საუნივერსიტეტო საზოგადოების პასუხისმგებლობის საგანია, რაც ნათლადაა გაცხადებული შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება PDCA ციკლის პრინციპებს, ამ უკანასკნელში კი მოიაზრება პროცესების დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობა კი ძირითადად უზრუნველყოფილია სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვებით, სამუშაო ჯგუფებში მუშაობით, პროგრამის განვითარების კომისიაში მონაწილეობით და სხვ.
ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით შემუშავებულია რამდენიმე მექანიზმი, მათ შორის, სწავლის შედეგების შეფასებისთვის შემუშავებულია კურიკულუმის რუკა, მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა,

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; შესწავლილი და გაანალიზებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. ხოლო, არაპირდაპირი მეთოდებით შეფასების მიზნით შემუშავებულია კითხვარები და განხორციელებულია მიზნობრივი გამოკითხვები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი ნაკლებად იცნობს პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. ინტერვიუს პროცესში არ დადასტურდა ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის რუკაში, სადაც მოცემულია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსი შესაბამისი დონის მითითებით (I(NTRODUCTION) - გაცნობა, E(XPANSION) - გაფართოება - გაღრმავება, R(EINFORCEMENT) - განმტკიცება) საჭიროებს გადახედვას, განსაკუთრებით კი, ვფიქრობთ დასაზუსტებელია მე-6 სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსები (დონეებით). მაგ., მე-6 სწავლის შედეგზე, გაფართოების დონეზე გადის ზოგადი ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის შესავლის კურსები. აგრეთვე, თითქმის ყველა სწავლის შედეგზე (გამონაკლისია მე-5 და მე-7 სწავლის შედეგები) განმამტკიცებელ დონეზე გადის „არქივმცოდნეობამუზეუმმცოდენობა“, რაც მეტ-ნაკლებად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების უმრავლესობის შინაარსს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებულ კურიკულუმის რუკაში და მისგან გამომდინარე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან ისევე როგორც შედეგებზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმად გამოიყენება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები. ამასთან, პერიოდულიად ხორციელდება დამსაქმებელთა გამოკითხვა და მათი მოსაზრებების ასახვა პროგრამის შინაარსში. დაწესებულებაში ასევე დანერგილია გარე კოლეგიალური შეფასების პრაქტიკა პარტნიორი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დარგობრივი პერსონალის ჩართულობით. ეს უკანასკნელიც წარმოდგენილია ისტორიის პროგრამის ფარგლებში გარე შემფასებლის დასკვნის სახით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაწესებულებაში უწყვეტად ხორციელდება სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგებზე დაკვირვება, საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება და სხვ., რაც ასახვას პოვებს უნივერსიტეტში არსებული საგანმაანთლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის გაუმჯობესებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საუნივერსიტეტო გამოკითხვები და შესაბამისი ანგარიშები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ კურიკულუმის რუკა; ○ ინტერვიუს შედეგები. რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებულ კურიკულუმის რუკაში და მისგან გამომდინარე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან ისევე, როგორც შედეგებზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად აქტიურად ჩაერთონ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დაგეგმვის პროცესში.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი გუნდი იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებს, მათ შორის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, კოლეგიალურ შეფასებებსა და გარე აქტორების (დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სხვ.) მოსაზრებებს. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, გარე შეფასების მიზნით პროგრამის მთლიანი პაკეტი გადაეგზავნა ორ გარე დარგობრივ შემფასებელს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ გარე შემფასებლების მიერ პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტისა თუ აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები შეფასებულია დადებითად. არსებითი ხასიათის რეკომენდაციები და რჩევები გარე შემფასებლების დოკუმენტებში მოცემული არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ გარე შემფასებლების დასკვნები (2 ერთეული); ○ ინტერვიუს შედეგები.

  რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია როგორც პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველყოფა, ისე პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, საუნივერსიტეტო სერვისების, სასწავლო თუ კვლევითი პროცესის შეფასება სტუდენტთა და სხვა დაინტერესებული მხარეთა ჩართულობით. ამ მიზნით, უნივერსიტეტში შემუშავებულია რიგი შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პრინციპებს, პროცედურებს, ეტაპებს, მასში ჩართული პირების უფლება-მოვალეობებს და ა.შ.; დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პრაქტიკა სისტემური და საჭიროებაზე მორგებული გამოკითხვებით, კოლეგიალური შეფასებით, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების მონიტორინგით, შრომის ბაზრის საჭიროებებისა და გამოწვევების დადგენით და სხვ.
გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ფარგლებში დაწესებულება ახორციელებს პერსონალის შეფასებას, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, ახდენს შრომის ბაზრის საჭიროებები დადგენას და აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებს. მონიტორინგის შედეგები აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა მიერ ინტერვიუების დროს დადასტურდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის მხრიდან მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე დროული რეაგირება.

როგორც აღვნიშნეთ, პროგრამის, მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების შეფასებისა თუ განახლების პროცესში დაწესებულებამ შეისწავლა შრომის ბაზრის საჭიროებები და მოთხოვნები. წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არ გვთავაზობს სიღრმისეულ ანალიზს. ბაზრის კვლევაში მოცემულია დასაქმების ზოგადი სტატისტიკა ქვეყანაში, ასევე, შრომის ანაზღაურების მოცულობის სტატისტიკა, დასაქმებულთა უმაღლესი განათლების დონის შესახებ ინფორმაცია და სხვ. რაც შეეხება ისტორიის საბაკალავრო

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას, მათი დასაქმების პერსპექტივებს (იგულისხმება თუ რა პოზიციებზე საქმდებიან და როგორია მათი შრომის ანაზღაურება) ან რა კონკრეტული საჭიროებები უდგათ დამსაქმებლებს ამ პროგრამის კურსდამთარებულთა კვალიფიკაციასთან, ცოდნასთან და უნარებთან მიმართებით, არ ჩანს სიღრმისეული ანალიზის ჭრილში. დოკუმენტში გაპარულია ე.წ. ტექნიკური ხარვეზიც (მოცემულია ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთარებულთა დასაქმების მაჩვენებელი დიაგრამის სახით, გვ.16; შრომის ბაზრის ტენდენციები ქართულ ფილოლოგიასთან მიმართებით, გვ.14.). სასურველია, ჩატარდეს დარგობრივ საკითხებზე, დარგობრივ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებული შრომის ბაზრის კვლევა, რაც პროგრამის გუნდს დაეხმარება დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების იდენტიფიცირებასა და დამსაქმებლების საჭიროებების დადგენაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას ნაკლებად გამოიკვეთა მისი აქტიური ჩართულობა პროგრამების მონიტორინგის, პროგრამის შეფასებისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი ნაკლებად იცნობს დაწესებულებაში არსებულ და საკუთრივ პროგრამის მონიტორინგის და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდეს პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების პროცესის თითოეული ეტაპის დაგეგმვის, განხორციელებისა და მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში. მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის შეფასების ანგარიში; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ ინტერვიუს შედეგები.

  რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ჩატარდეს დარგობრივ საკითხებზე, დარგობრივ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებული შრომის ბაზრის კვლევა, რაც პროგრამის გუნდს დაეხმარება დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების იდენტიფიცირებასა და დამსაქმებლების საჭიროებების დადგენაში;

- სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდეს პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების

პროცესის თითოეული ეტაპის დაგეგმვის, განხორციელებისა და მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ბონდო კუპატაძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

მერაბ
ჭუმბურიძე

ვაჟა
მამიაშვილი

ნინო ქოთოლაშვილი

ქრისტინე ჩიხლაძე